1910 წ. კვირა | ფასი 10 კაპეიკი | 14 თებერვალი

შინაარსი: სათეატრო კაკუძია (ქეთაური); ქარ. დრ. სახ. გაშეგეობის მახსენება; ან. წერეთლისა, ეკ. შესხანა; მაშაკალი მსახიობი, ბ. დადეანისა; გუდის კვრესა, ლექსი კ. ჯაშვილისა; სიონის მტრედი, ნ. ლორთქიფანიძისა; დრამის მოკლე ისტორია, ნარვიდანა; ქარ. თეატრი, ‹Ro-Ben›-ისა; ლედის ერთა, ვ. გუნიასა; შარვანზადე, ე. კ-სა; სხვეთა მსახიობნი—ბ. მელიქიანი; ჩვენი მსახიობნი—ტ. აბაშიძე, ნემო. სურათები.

რედაქციისაგან ჩვენის ჟურნ. წლიურ ხელის მომწერელთ ლღევანდელ ნომერთან **პრემიად** ურიგდება ს. ელახაშვილის პიესა „**წყურვილი**“.

ტ. აბაშიძე

10 წ. სასცენო მოღვაწ. და ბენეფისის გამო

1910 წლიდან გამოდის

სურათებიანი ჟურნალი

თეატრი და ცხოვრება

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, Контора Груз. Драм. О-ва. Іос. Зах. Имедашвили.

№ 10 კ. წლიურ 5 მ. ნახ. 3 მ.

ან. მიხ. თუმ-წერეთლისა

„ჯეჯილ“-ის 20 წ. თუბილეს გამო

ბარბარე მელიქიანი

25 წ. სასც. მოღვაწ. იუბილეის გამო არტ. საზოგ. თეატრში 15 თებერ.

14 თებერვალი 1910 წ.

სათეატრო კავშირი. ბოლო ხანს ჩვენს თეატრზე ბევრს ლაპარაკობენ. ქართული თეატრის დაქვეითების მიზეზად ყველა, მიმართულებისა და მდგომარეობის განურჩევლად, თითქმის ერთსა და იმავე მოვლენას ასახელებს...

წამალი? არა სჩანს.

დღეს ქარ. თეატრშა ბენეფისია ტ. აბაშიძისა.

ხუთშაბათს 18 თებერ. ბენეფისია ა. ზარდალიშვილისა, წარმოადგენენ ბიესას „**დანაშაული და სასჯელი**“.

ყოველდღიური ცხოვრება თვითონვე გვიკარნახებს—როგორ მოვიქცეთ.

ჩვენი დიდი თეატრები გასაჭირს განიცდიან უფულობითა და ურეპერტუარობით.

დაბა-სოფლებში მოქმედებენ სცენის მოყვარენი, —პატივი და დიდება მათ,—მაგრამ მოქმედებენ ხშირად მიზნის შეუფერებლად...

ეს არ კმარა: ხშირად სოფელს, ანუ დაბას მოევლინება ვინმე „არტისტი“, რომელიც საზოგადოების ნდობას უმეცრად, ან ბოროტად ხმარობს.

ამიტომ აუცილებლად საჭიროა სათეატრო კავშირი, საქართველოს სცენის მოღვაწეთა გაერთიანება...

დრამ. საზოგადოებათა გაერთიანების სურვილი ამას წინად ჩვენ უკვე გამოვსთქვით.

ქვემოდ ვბეჭდავთ ქართ. დრ. საზ. გამგეობის მოხსენების ამ საგულისხმო საგნის შესახებ.

და მომავალმა წარმომადგენელთა კრებამამ მოხსენებას სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციოს.

ქართულ დრამატიულ საზოგადოების საგანგებო კრების

(მოხსენება)

თეატრი, როგორც მოგეხსენებათ, შეადგენს ერთს უმთავრეს იარაღთაგანს, რომ შევიტანოთ ხალხში თვითცნობიერება და განვითარება.

ჩვენმა ხალხმა კარგად შეიგნო თეატრის ეს დიადი მნიშვნელობა და მთელს საქართველოში შეუდგა მის აღორძინება-განვითარებას. თუ 50 წლის წინად ჩაიდგა თბილისში მუდმივი თეატრის პირველი საძირკველი და მხოლოდ ერთ ადგილას იმართებოდა წარმოდგენები, ამ ჟამად იმართება სისტემატიურად. როგორც ქართულ თეატრში, ისე სახალხო სახლში, ავლაბრის თეატრში და სხვანანაც. წარმოდგენები იმართება აგრეთვე თბილისის გუბერნიაში — თელავში, გორში, სურამში, ახალციხეში და სხ. დასავლეთ საქართველოში —ქუთაისში, ყვირილაში, ჭიათურაში, ხონში, ოზურგეთში, ფოთში, ბათუმში, სოხუმში და თითქმის ყველა ჩვენს დაბა-სოფლებშიაც.

ამდენს ხანს თუ ერთი ქართული დრამატიული საზოგადოება იყო, —ამ ჟამად ასეთი საზოგადოებანი დაარსდა აგრეთვე ქუთაისში, გორში, სურამში, ოზურგეთში, ჭიათურაში, ყვირილაში და სხ. წინად თუ ერთი დასი იყო, ამ ჟამად მუდმივი დასები არიან თბილისში, ქუთაისში და სხ. სცენის მოყვარენი გაფანტულნი არიან საქართველოს ყველა ქალაქებსა და დაბებში.

ყველა აღნიშნული საზოგადოებანი და დასები მუშაობენ ცალკ-ცალკე, უსისტემოდ და, ხშირად, ერთი მეორის მოქმედებასაც ხელს უშლიან, არა აქვთ ერთმანეთში მტკიცე კავშირი, არა აქვთ ერთი განსაზღვრული გეგმა, შემუშავებული რეპერტუარი, არა აქვთ თავისი ორგანო, არ არსებობს არტისტებისათვის საერთო სავალდებულო წესები, არ არის მთელი საქართველოსათვის ისეთი საერთო თანხა, საიდანაც შესაძლებელი იყოს მიეცეს ჩვენს არტისტებს სიბერისა, თუ გაჭირვების დროს დახმარება, ანუ პენსია; არ არსებობს ახალგაზრდა არტისტებისათვის სკოლა და სხვა. ყველა ეს კითხვები იმდენად რთულია, რომ უსათუოდ საჭიროა საქართველოს ყველა კუთხის წარმომადგენლებმა მიიღონ მონაწილეობა მათს გამორკვევა-შემუშავებაში. ამიტომ ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობამ დაადგინა: მოიწვიოს ქართულ სცენის მუშაკთა და დრამატიულ საზოგადოებათა წარმომადგენლების კრება (Съѣздъ представителей сценическихъ дѣятелей и драм. обществъ) დაახლოვებით შემდეგის გეგმით:

1. სცენის მუშაკთა და დრამატ. საზოგადოებათა წარმომადგენლების კრება უნდა გაიმართოს ქალაქ თბილისში მომავალ სეზონის დაწყებამდის, დაახლოვებით მაისის დამლევამდის ანევნისში.

2. კრებაზე მონაწილეობას იღებენ გადამწყვეტის ხმით, როგორც მუდმივი დასის, ისე სცენის მოყვარეთა ჯგუფის და დრამატიულ საზოგადოებათა წარმომადგენლები. თითო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორგანიზაცია გზავნის კრებაზედ ერთიდან სამს წარმომადგენელს.

3. კრების საგანი: უნდა განხილულ იქმნას დაახლოვებით შემდეგი კითხვები:

ა) სასურველია, რომ იყოს ერთი ცენტრალური ხელმძღვანელი ორგანო მთელის საქართველოსთვის, თუ ყოველ კუთხეში არსებობდეს სრულიად დამოუკიდებელი ცალკე საზოგადოება. და თუ სასურველია, როგორ უნდა მოეწყოს ეს ცენტრალური ორგანო და რა დამოკიდებულობა უნდა იყოს ცენტრალურსა და პროვინციის ორგანოებს შორის.

ბ) რა საზოგადო წესი და პირობები უნდა იყოს შემუშავებული არტისტებისათვის.

გ) რეპერტუარი ორიგინალური და თარგმნილი.

დ) რეჟისორის, მისი თანაშემწისა და სცენარიუსის საკითხი.

ე) სკოლა არტისტებისათვის.

ვ) დრამატიული ხელოვნების ორგანო — ჟურნალი.

ზ) საპენსიო თანხისა და კასის დაარსება.

ი) სხვა და სხვა კითხვები, რომელნიც-კი შეეხებიან თეატრს, სცენას, მის მუშაკთ და პიესებს.

4) კრება გაიყოფება სექციებად. წაიკითხავს ამ საგნებზე რეფერატებს და შემდეგ საერთო კრებაზე გამოიტანს თავისს რეზოლიუციებს.

დრამატ. საზოგადოების გამგეობა უმორჩილესად სთხოვს საზოგადო კრებას, მიიღოს ეს საკითხი პრინციპიალურად და აირჩიოს გამგეობასთან ერთად ცალკე აღმასრულებელი კომიტეტი, რომელიც დაამზადებს ამ საგნისთვის საჭირო მასალას, შეიმუშავებს უფრო დაწვრილებით გეგმას, გამონახავს სახსარს, რომ დაჰფაროს ის ხარჯები, რაც ამ კრებისათვის იქნება საჭირო და სისრულეში მოიყვანს ამ სურვილს.*)

ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობის

თავმჯდომარის მაგიერ **პართენ გოთუა**

---

*) ეს მოხსენება წაკითხულ იქმნა დრ. საზ. საგანგებო კრებაზე. კრებამ ხმის უმეტესობით მიიღო და კომისიაც ამოირჩია. კომისიაში მოჰყვნენ: ნ. ლორთქიფანიძე, ვლ. ალექსი-მესხიშვილი, ე. ხრამელაშვილი, ს. კლდიაშვილი, ლ. მეტრეველი, ს. ფირცხალავა და პ. სურგულაძე. **რედ.**

ჩვენი მწიგნობარ-მოღვაწენი

ანასტასია მიხეილის ასული თუმანიშვილი-წერეთლისა

1910 წელს 1 იანვარს 20 წელიწადი შესრულდა, რაც ჟურ. „ჯეჯილი“ დაარსდა. ამ ორი ათეული წლის განმავლობაში ჟურნალმა დიდი სამსახური გაუწია ქართველ ბავშვებს: შეასწავლა და შეაყვარა მათ დედა-ენა და წერა-კითხვა, გააცნო საუკეთესო ჩვენი მწერლების ნაწარმოები და ნათარგმნი მოთხრობები. დიდი შრომა და ნივთიერი ძალა დასჭირდა, რომ ჟურ. „ჯეჯილი“ იმ საპატიო გზაზე დამდგარიყო, რომელზედაც დღესა სდგას. ეს მძიმე საქმე იკისრა ჟურნალის გამომცემელმა და რედაქტორმა ანასტასია მიხეილის ასულმა თუმანიშვილმა-წერეთლისამ.

ანასტასიამ სულ ახალგაზრდამ ქალების ინსტიტუტში დაამთავრა სწავლა. ის მდიდარი ოჯახის შვილი იყო, ქართული ენა შეაყვარა მამამ, ჩვენს ლიტერატურაში ცნობილმა განსვენებულმა თავ. მიხეილ ბირთველის ძემ თუმანიშვილმა. მართალია, ეს ოჯახი სარწმუნოებით სომეხი იყო, მაგრამ ტომით და გულითკი ნამდვილი ქართველი. განსვენებული თავ. მიხეილი იმ ჰაზრისა იყო, რომ სარწმუნოება სხვაა და ტომი სხვაო. მე ტომით ქართველი ვარ, მათი ღვიძლი შვილი და ამიტომ მე ისინი მიყვარანო. მამის ამგვარმა ჰაზრებმა ანასტასიასაც შეაყვარა ქართული ენა და ქართველების სამსახური. ის ფრანგულიდამ პატარ-პატარა მოთხრობებს სთარგმნიდა ხოლმე, რომლებიც განსვ. სერგეი მესხის რედაქტორობის დროს გაზ. „დროება“-ში იბეჭდებოდა.

ანასტასია იმის მაგივრად, რომ თავის დროის თავადიშვილის ქალების მზგავსად ბალებსა და გასართობებს აჰყოლოდა, სხვა და სხვა საზოგადოებათა სამსახურსა სცდილობდა: იმისი შემწეობით და თაოსნობით დაარსდა. მასწავლებელთა დამხმარებელი ქალთა საზოგადოება დიდხანს წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობის წევრად იყო, სოფ. ხელთუბანში სკოლა გახსნა და სახლი აუშენა სკოლას და ნაყოფიერად შრომობდა. ყაზბეგის სკოლა, რომელიც რუსის სასწავლებელ ქალების ხელში იყო და უსაშუალობის გამო დახურვას უპირებდნენ, ანასტასიამ ქართველ ქალების პატარა წრე შეად-

გინა და მათი შემწეობით ამ სკოლის წარმოება შეუდგა. ამ სკოლაში ვერის განაპირა ადგილების ქართველი ღარიბი ოჯახის შვილები სწავლობდენ; უფროსებს, რასაკვირველია, ამ სკოლის ნორმალური წარმოება ქართულ ნიადაგზე არ მოეწონათ და მალე დაჰკეტეს. ამ გარემოებამ საზოგადოება „განათლების" დაარსება გამოიწვია. ანასტასიამ აქაც დიდი მხნეობა გამოიჩინა: ორიოდე თვის განმავლობაში ზემოხსენებული პატარა წრე ლეგალურ საზოგადოებად გარდაიქცა, რომლის თავმჯდომარედ ანასტასია ბრძანდება. ამ საზოგადოებას ახლა ორი სკოლა აქვს: ერთი დასაწყისი მოსამზადებელი და მეორე პროგიმნაზიული.

მაშ მივიდეთ 14 თებერვალს დილის 12 საათზე ქართულ თეატრში და ვუსურვოთ მისი საყვარელ შვილობილის „ჯეჯილი"-ს აყვავება და დიდი ხნის სიცოცხლე. ღმერთმა ჰქმნას, რომ ჩვენს ღარიბ ქართველ საზოგადოებაში ბევრი ამისთანა მხნე და დაუზარებელი ადამიანი აღმოჩნდეს!

ეკ. მესხი

გულის კვნესა!

ბედო მძინარევ,
გამომიდარე.
ვნებული გული მკერდს მიიკონე;
და დუხჭირ ბედის,
ჩემი წარმწყმედის
სიმწარით სრბოლა მკერდს გაიწონე!..
ცოცხლადა ვდნები,
როს თავს ვევლები
უფსკრულში შთანთქმულს ადამიანსა;
და ჰგოდებს ქნარი,
ტრფობით დამდნარი,
რადგანც ვერ უკმევს გუნდრუკს მიზანსა!...
ქვეყნის მპყრობელმა,
სოფლის მცნობელმა,
აზრმა ვერ შესძლო ბედის მონება;
და არ შემწიკვლა,
დაჰგმო... წაჰბილწა
თვის ტრფობის ნასკვი... საძებნი მცნება!..
ბნელ ბრბოს მტერობას,
ბედის გერობას,
ქედს არ მოუდრეკს ამაყი სული;
თუ ვერ იხარებს,
თვის ბედის კარებს
მაინც არ დაჰგმობს ლტოლვით გზნებული!..
სულის კვეთება
ღვივის... ენთება
შავ აზრთა დენით შეწუხებული;
და ჰკვნესის მწარედ,
შავ-ბნელ სამარედ
წმინდა აზრთათვის შობილი გული!

კ. ფშაველა

მომავალი მსახიობი

(გაგრძელება იხ. თ. და ც. № 6)

მომავალმა მსახიობმა თავისი ხელოვნური თამაშით უსათუოდ უნდა შეგვაყვაროს ხელოვნება: ის, ვინც თითონაა ხელოვანი, უსათუოდ თავისიანებსაც გაუზიარებს ხელოვნების მშვენიერებას. გადაჭარბებული არ იქნება, რომ ვსთქვა: ყველას გვწყურია ჭეშმარიტი ხელოვნების სინათლე-მეთქი. მსახიობის მოვალეობაა მაღლა ასწიოს ხელოვნების კანდელი და მის გზაზე წინ გაგვიძღვეს. ამით ჩვენ მომავალ მსახიობს მასწავლებელ-მოძღვრის როლს ვაკისრებთ. მაგრამ მსახიობს გაცილებით მძიმე სამუშაო აწევს თავზე, ვინემ მასწავლებელს. უკანასკნელს უკვე დამზადებული მასალა უჭირავს ხელში, და თვითონ მისგანაა დამოკიდებული, თუ რა რიგ გაასცოცხლებს იგი თავის საგანს, რომ თავისი განსაზღვრული წრე — ახალგაზრდა მსმენელი გაიტაცოს და გაუღვიძოს სწავლის წყურვილი. მსახიობს არაფერი აქვს ხელთ, გარდა თავისი ნიჭისა. იგი თვითონვე ჰქმნის თავის სამოძღვრო საგანს, თითონვე ასულდგმულებს მას და ყოველივე ამის შემდეგ სწირავს იგი თავის ქმნილებას ერთს განუსაზღვრელ დარბაზს—ასკში შესულს მაყურებელს, რომელსაც თავისი საკუთარი შეხედულობა აქვს. მეტად წმინდა, ფაქიზი და ამავე დროს ფხიზელი ფიროფიტა უნდა იყოს მომავალი მსახიობის გრძნობა, რომ მან ხალხის აღზრდა-გაფაქიზება შესძლოს. თუ არის სადმე ისეთი რამ, რომელსაც ძლიერი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს — ეს სწორედ ხელოვნებაა, რომელიც ყველასათვის ერთნაირად ძვირფასია და სანატრელი. და ეს მძლავრი იარაღი ხელთ უნდა ეპყრას მომავალ მსახიობს.

წმინდა ჭეშმარიტ ხელოვნებას თავისი ფორმა აქვს, გარეგანი გამოხატულება. მას ეზარება „თეა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრადური მანერები“, რომელიც დიდი ხანია დაჭეა-ტრონებია ჩვენს სცენას და მსახიობსაც. მომავალი მსახიობი მთელ თავის გრძნობას მთანერგავს თავის გმირის, იგი შეისწავლის გმირის სულს დრმად, ასე რომ ის ბოხა და კარგები ეფექტი, რომელსაც ამ ჯამად მამართავს მსახიობი, საგანებით უარეფოვ-ლი დარჩება. გრძნობამ ორ იგის წინასწარი ულბანი, და მომავალი მსახიობის დამახასიათებელი ნაკვეთიც სრული მარტივობა უნდა იყოს სცენაზე,—მარტი-ვობა, რომელიც გაგიღებით მეტ რამე შეგეძენს, თუ ჩვენ კულტურასანნი ვარო, ვინმე მეორეზა, კლასიკური ბოზა ან ათფ-ფასიანი ეფექტი.

ზემად ჩამოთვლილ პირობების მიგუმატოთ ისიც, რომ მომავალმა მსახიობმა მშვენივრად უნდა იცოდეს ქართული ენა, და მაშინ იგი საგანებით შეასრულების თავის დანიშნულებას. ენა შედეგი არის მთელი ხალხის კულტურულ ზრდა-განვითარებისა. მისი ცოდნა მრავალს სარგებლობის მოგტანს მომავალ მსახიობს. ქართული ენით გამოსთქვამს ქართველი თავის ზარ-ვარამს, ლექსად იქნება აწყობილი, სიმღერად ან დრამატიული ფორმაში. ლელ-ენა სძენს ჩვენისთანა ბატარა ხალხს თავის სიძლიერეს, რადგანაც განვითარებული ენა განვითარებული კულტურის შედეგია. სცენა, როგორც სკოლა, შეუბილ-წავად, წაურეფნელად უნდა ინახვდეს ლელ-ენას. ამ მხრივაც დიდი მოვალეობა აწ�ჩვენს მომავალ მსახიობს. რადა თქმა უნდა, ასეთი მოთხოვნილება სრულებითაც არა სპობს ჩვენი თანამედროვე მსახი-ობისთვის ლელ-ენის ზეგმეწეენით ცოდნის. მაგ-რამ ამ მოთხოვნილების საგანებით შესრულება მომა-ვალი მსახიობის ვალია. სომავალი მსახიობი, რო-გორც ბუმლიგისტი, მსწავლებელი და კრიტიკოსი, უნდა იცოდეს ლელ-ენის კარგეს კაგალენისაკენ.

სად უნდა ქმეიგეს ჩვენი მომავალი მსახიობი თავისი ნაკნის გასაძლიერებელ წეარის? სად არის მისთვის ფართო ასპარეზი? რადის იქნება იგი მე-ტად ძლიერი და კაგალენიანი? აქეარა, თანამედრო-ვე ლიტერატურა საერთოდ კაკვითარების ჩვენს მსა-ხიობს კონებრივად, კაუფართოვების ჭორიზონტს, რადგანაც ორ დარბა ისეთი კენწეული ადამიანის ცხოვ-რებაში, რომელსაც თანამედროვე ლიტერატურა არ შეხებიდეს. სულ სხვა კითხვა, თუ სად უფრო ფართო ასპარეზი აქვს დათმობილი მომავალ მსახი-ობს თავისი ძალ-ღონის გამოსაჩენად. და ჩვენც ორიოდე სიტეეეთ შეეეედებით ბასუხი კაგეეთ ამ სომართლიანს და საინტერესო კითხვას.

ჩვენი სცენა ძლიერ ჩამორჩა რუსეთისა და ევ-როპის სცენებს. ამის მიზეზი მრავალი არის, — უპირველესად ეთვლისა ისტორიული მიზეზებია. ჩვენ კვმოთნოქა თითქმის ულტრა-რეალიზმმა და ულადარმატიულმა ჭანკვემა, და მსახიობიც უძალუ-რია ამ დარგში რაიმე შეეჭმნის თავდაწარმტეცი, დიდი, რაც დრმად ჩაეწერეს ჩვენს გულსა. თუ არა ვცდები, მარტოოდენ ბარიზის ერთის ათფეესია-ნ თეატრში-და სდგეეენ ისეთის ბეეესებს, რომელი-თაც ჩვენ დდეეენ	en ჩვენი სცენა კვკვეეესვს. დი-დი ულადიკოს აქნებოდა, ამ ულტრა-რეალურისა და ულადარმატიულთა მომდინარეობადან უცებ კაგა-კვეეესეკენა მისტიკური სიმბოლიზმისაკენ, რომე-ლიც რუსეთის სუკეეთესო თეატრში სუფეეეს. არა-ფერს ვამბობ სათუო სცენის შესახებ: ამის შემდეგ წეარდეებში კაკარკეეეკ, თუ კარემოებამ ხელი შემა-წეო. ასეთი ნახტომი ეუცილებლად კბას დაუნეეკ-და ჩვენს დაშინებულ მსახიობს, რადგანაც იგი სრულ-ად მოეშზადებელია ამ სტაბილისთვის. მომავალი მსახიობი იქნება ის ხადი, რომელიც შეაკვეირებს აწინდელს ჩვენს სცენის შორეულ მომავალთან. და რადგანაც მომავალი მსახიობი ინდივიდუალისტია, იგი უსათუოდ მთელ თავის ეურადღებას ჭაუტმნისა და ობსენესთანა მწერლების მიაქცევს, რადგანაც აქა საგ-სებით ადნუსნული პიროვენა, რომელის ინტერპრეტა-ციაც მომავალ მსახიობსა ვთხოვთ. ჩვენ სრული უფლება გვაქვს ეს მწერლები ნეო-რეალისტურ მომდინარე-ობას მიკაკუთნოთ. ნეო-რეალიზმი სრულებით არ ეწინააღმდეკეკება ამ მწერლების დამახასიათებელს პიროვენების კულტს. მეორე მხრით, იგი კაუბრის ამ მეტაფიზიკურ ატმოსფერას, რომელშიაც თავის გმირების მისტიკურ-სიმბოლიური მომდინარეობა ახკვეს. ულტრა-რეალური ვერ განვითარებს მსახი-ობის სულიერ ძალს, რადგანაც ასეთი ბეესეი ამის ნაკლებად აქტეკეს ეურადღებას; მისტიკურ-სიმბოლი-რი სულ დაუკარგავს თავისებურების ეოველივე მსა-ხიობს, — კაახსენეთ, მაკალგ., ხმდრეეეეის ტრა-დიკიკ: რას შეჭემნის მსახიობი ამ ბეესებში? — ძალა-ეუნებურად რეეესორის ეურმოეერად მონად აქ-ტეკეს მას. და მომავალი მსახიობიც ნეო-რეალზმში უნდა ეძებდეს ნოეიერ ნაადგილ: მხოლოდ აქ შეესძლებს იგი შეინარჩუნოს თავისი სახე, სპეა-ტიო ადგილი მსახიობისა. აქ განვითარებს იგი თავის ფანტაზიას. ამითი სრულიათაც არ მინდა ვსთქვა, სიმბოლიზმი ჩვენთვის აკრძალული ხილია-მეთქი. არა! აქ საქმე მარტოოდენ ხვალინდელ დღეს

შეუხება და არა შორეულ მომავალს. ხვალინდელი დღე-კი უსათუოდ ნეორეალიზმისაკენ კაბეტეტების. ეს მომრთულება შეჭქმნის და მოუმზადების კანეიოთრებულსა და დუეხრომულ მუშაკებს მომავალს სამშოდეურს და, თუ გნებავთ, სათუო სტენის, თუმცა ამ უკანასკნელის მე ვერაფერი მჯერა.

დასასრულ, ორიოდე სიტყვით მანც უნდა ადგნიშნოთ ის, თუ რა ადგილს დაიკერს სტენაზე მომავალი მსახიობი, ან როგორი ფრთიერთობა იქმნება კამეფეფულთა მომავალ მსახიობსა და რეჟისორის შორის, მაგრამ ამაზე შემდეგ ნაწერში.

პ. დადვაძე

მსახიობი **ნემო (მ. ჯანოევი)**
ბენეფისის გამო ქუთ. თეატრში
18 თებერვალს

სიონის მტრედო!

შენ მიკარნახებ. შენთვის ვწერ. შენ გიძღვნი.

შენობით რომ მოგმართავ, არც სიახლოვეს ვჩემობ, არც უნუგეშო იმედი მაქვს, რომ გაგათამამებ და შენც შენობით დამიწყებ ლაპარაკს; მაგრამ შენ მართლაც შენ ხარ,—ერთად ერთი უტოლო, თუმცა ამხანაგ-მეგობრებით სავსე.

როცა სხვები შეიკრიბებიან საზოგადოებას, წრეს, ხალხს შეადგენენ—შენ-კი... შენ რჩები, ერთი, შეუერთებელი, თავისებური ერთი.

ყველა „ისინი“ არიან; შენ-კი — ან შენ ხარ, ან ის.

შენი სახელი ენაზე მადგია, გულს მაწვება წარმოსათქმელად, მაგრამ არ ვიტყვი: მეშინია ბრბოის ხმისა და „დარიბთა სიბრძნისა“.

ზღვა რომ ზიზღით აღელდეს, შენ ჩირქს ვერ მოგცხებს, ყოველი არსის ხმა იერიქონის საყვირად რომ გადიქცეს, სახელს ვერ შეგილახავს, მაგრამ ოდნავ რომ შეგეკრას სპეტაკი შუბლი, ოდნავ რომ ჩაგაფიქროს—არა, შენს სახელს არ დავწერ! ან კი რა საჭიროა?

განა თოვლი პირველად შენ სახელს არ სწერს თეთრი ზოლებით?

ხეებით დაფარული მთები ხვეულის ხელით ხატავს ასოებს შენის სახელისას.

განა ცა მკერდზე არ ამოიჭედს ვარსკვლავებით შენს სახელს, ალვის ხე შენს ნარნარ რხევას ჰბაძავს.

ბულბული თვალებს ხუჭავს, შენ წარმოგიდგენს და გიმღერს. ტალღათა ტორტმანში განა შენი სახელი არ მოისმის. შენ ყოველგან ხარ და ყოველსავე აღავსებ მშვენიერებითა შენითა.

ყოველი მიჯნურის ალერსს შენ აძლიერებ. იას ნუ ასხურებ მეტს სინაზეს: ეყოფა, რაც გიჩუქნია!

ტევრი თმასა გთხოვს თავის დასაბურავად. ვინ, რამ ჩაგიდგა ტბანი თვალებად?

მანდ ბუნება გაქვავებულა, მთელი ძალა თვალებში შემოუკრეფია, შენ შემოგყურებს გაქვავებული.

აქ ქარი სწვფს და გლეჯს ყველაფერს. გრიგალ ქარს ვეკედრები, როცა შენთან მოვა, სიოდ შემოგვევლოს თავზე და ნაზად ჩაგიფუჩუნოს:

სიონის მტრედო!

ნ. ლორთქიფანიძე

დრამის მოკლე ისტორია

რომი

მეს შემდეგ, რაც სპარძნეთმა დამოუკიდებლობა დაჭკარგა და რომის პროვინციად იქცა, მან დაჭკარგა მსოფლიო ოვალი დრამის ისტორიაც. თუმცა ბერძნის ავტორები სწერდენ კიდევაც ხასდს ბიესებს, მაგრამ მათ საზოგადო ინტერესი ადარ ჭქონდათ. მხოლოდ ერთი იეო მთოგანი დარჩი ეუნადდებისა—ეს იეო შენნდროსი, რომელმაც შეჭქმნა ხასდი კომედია ე. ი. ერა ბოლიტიკური და საზოგადო ცხოვრების კამამსტეგული ბიესა, ერამდე უბრალო ხალხის კერძო ცხოვრების დამსურათებელ; სამწუხაროდ მის კომედიებიდან მოდად ადარფენს მოუწეგია ჩვენამდე, მხოლოდ ნაწვეტ-ნაწვეტი ნაკვესები და მოსწრებული ფრაზები-და დარჩენილა სხვა ავტორების ნაწერებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამის შემდეგ შეგვიძლიან კაცვიდეო რომაელთა ისტორიაზე. სიბერძნეთის შემდეგ დადებულ რომის ისტორიაში ჩვენ ვერ ვხედავთ ამ დროის დირსეულს წარმომადგენლებს და ისეთს დადებულს ტრაგედიას, ან კომედიას, როგორებიც იყვენ სოფოკლე და არისტოფანე. რომაელების დრამატიული ზეზეა ეფო სუსტი ანარეკლი, მეგობალი მაბაძეა დადებულ, ბუმბერაზ ბერძნულ დრამატიულ ზეზეაისა.

რომაელებს არა ჰქონიათ სიბერძნეთის კეტნობამდე არამც თუ რაღაანი დრამატიული ხელოვნენა, არამედ სიზოგადად დარსეული და მნიშვნელოვანი მწერლობიდ-ეა.

ამიტომ რომაელთა დრამატიული ზეზეაი მთლად ეფო ნაოფი ბერძნების კეტნობისა და დაახლოებითა. რომელი ავტორები უმნიდ ჩამაძაგენ ბერძნის გენიოსებს, ბალდურად ტიტანებს მთი განუვთარებული ენა და ზარი ბიბრაკობს.

რომაელების პირველ დრამატურგად ითვლება ლივიუს ანდრონიკუსი, რომლის ზეესიც პირველად დაიდგა სტენაზე 240 წელს (ქ. შობამდე).

ჭქედან ითვლება რომაელთა დრამის ისტორიაც. რაკი ბეეი კიდეკ დრამისა, მაგე ხელიც მაგ-ეეეს და დრამატიული ხელოვენეს კანკეთთარდა რომში.

მაგრამ რომაელებს ტრაგედიები ისე არ მოსწონდათ, როგორც კომედიები; მეტ ზეტეკ უფრო უკანსასკნელს სცემდენ. ამის მიზეზი ის ეფო, რომ კანუვთარებული და მოუზეშაკი რომის ხალხი თხოულობდა უფრო კასრთობს, კასტანარს, ვიდრე კონების სიზრდოს, ლაკ გულის თქმოთ კაცობ-ხტეკს.

ეკი რომში უფრო მეტ ზეტეკზე ეფო ტირკი!

თავდა-ზირველად სიზოგადოო რომაელები ძალიან მეტრე ზეტაკს სეკ-ქენ სეროოდ ზეზეაის, კერძოდ-ეი დრამატიულ ხელოვენებს. წარჩინებული ოჯახიშვილები არ ზრუნავდენ ზეზეაის კანეთთარებისათვის და ზეეტობა მონების ხელობად ითვლებოდა. მართლაც ბერეველში რომაულ დრამატიულ ზეზეაის ქურუმებად ითვლებოდენ თითქმის სულ არა რომაელნი, ლაბად წოდებისა და ენენი თეშ-ბიდან მონად მოყვანილი ბერები, ამთაკენ ოთხი ტრაგედიის მწერალი ეფო: ნევიუსი (264—194 ქრ. შ-დე), ენნიუსი (169), პაკუვიუსი (129) და ატტიუსი (103.); ოთხიე კომედიის მწერალი: იკაეე ნევიუსი, პლავტუსი (254—189), ტენტენიუსი (186) და ტერენტიუსი (185—159).

მაგრამ ეს მწერლები არამც თუ თავანთ სიზოგადოებიეის მდგომარეობით იყვენ მონები, არამედ მწერლობითაც: ე. ი. იკანი-ეი არ ჭქმნიდენ ორიგინალურს დრამებს, კომედიებს, არამედ ზეძენნის ავტორების საუკეტესებს იღებდენ, ეოტას შეკეთებდენ თავანთებურად და კომოვიდად ახალ რომაეი თხზულებს; ხშირად ბერდებრ კაკლითარგმნიდენ ხალმე რომეიმე ბერძნულს ბეესს უმნიშვნელო ცვლილებით.

მრთალია, არის ტრაგედიები რომის ისტორიაიდანეკ, მაგრამ მათი რაცხვი ძალიან მცირეა და თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამ დროის დრამატიული ზეზეაი სრულებით არ არის ეროვნული.

„შემდეგშიაც დრამატიული ზეზეაი რომში ძალიან სუსტობდა. ახალი ზეესების ეოტეს-და სწორდენ, უფრო ძველებს თამაშობდენ, თუმცა-ეი მსახიობები უმიდლეს ხარისხამდე კანეკეთარეს. სიზოგადოებს უფრო მხიარული და ხასიათიო ზეტარა კომედიები მოსწონდა. სადაც ეოტეზი და სატირული სურათები ეფო სოფელელ და ქალ-ქელ მდაბიო ხალხის ცხოვრებიდან. ამის კარგა კანსაკეთრებულ ეურადღების აქეკენდენ წარმოდგენების კარეკენ მოწეობიდებს. სცდილობდენ უფრო ოვალის მოხიბლვას, ვიდრე კონეპისს; კეთილობა აკეი უზარმაზარი, ბრწეინვალე და მშეენიერი ტირეი — (ეტეკენ 150 ათას კაცს); ბამბეუსის ათენა ქეთ თეატრი ფადრულად და ბრწეინვალეკე მორთული. — მუსიკასა და ტანეკეს დიდი ადგილი ჭქონდა დათმობილი. კარგს მოცეკეკეკე ქალს დიდს ჯამაგირს ანლეკენენ (25 ათას მან.-დე წელ-ში). დიდხლს ფეულს ჭხარჯავდენ დეკორაციებისა და ტანასმოსისათვის. ნამდვილ დრამატიულ ხელოვენებს მაკიერ ფერაკ კამეფდა, მწერალს ადგილი მეორეზე დაიკავა". (იხ. რომის ისტორია, ბერო და ბეეესი, თარ. ეკ. დორეოფანიძისა).

ამ კეკარი მამრთველება მაიდო დრამატიულმა ხელოვენებამ, ასე დაქკეთოდა დრამატიული ზეზეაც. ეს-ეი მოხდენა მამბაძეკელობითმა ხასიათმა მწერლობაში; არავითარი ნაპერწკალი ორიგინალობისა, ძალიან მცირე სურეკეი საკეთარის ახალის დრამის შექმნისა!

და სადც მხოლოდ მამბაძეკელობაით, საუკეტესის კალმოკეთებით და კალმოტანით ჭსურთ სამშობლო მწერლობის ეკეკეეს, აქ მეტი ზიანი მოაქვთ ამეკარ ეკეზატორეს, ვიდრე სარკებლობა. ასე დაეამართა რომაელთა დრამასაც.

ქრისტეს დაბადების შემდეგ პირველ საუკუნეში დრამის მწერალი იყო ფიდოსოფოსი სენეკა; მაგრამ ისიც იმავე სენეკი იყო შეპურობიდი, როგორითაც სხვები. სოფოკლები ადებული ჰქონ ბერძნოა მწერლობიდან, ფორმაც ისევ მოიბერია.

მაინც დარს-შესანიშნავი მწერალი ტრაგედიისა სენეკა, მხოლოდ კომედიისა, როგორც ზემოთაც ვსთქვით—ჰლავტუსი და ტერენციუსი.

ამ სამ მწერლის შესახებ ცალკე შემდეგში ვთქვათ.

ნარვილი

ქართული თეატრი

„სამეგრელოს მთავარი ლევანი“

ისტორ. დრამა ვ. რ. ეიფანისა. 30—31 იანვარი.

ვერ იქმნა და ვერ ვეღირსეთ ხერიან ორიგინალურს პიესას. ვასილ ყიფიანის დრამაც, რომელზედაც ბევრი ქება გვესმოდა, ერთობ გრძელი და შეუმუშავებელი გამოდგა. ეტყობა, ავტორს მიზნად დაუსახავს ყველა იმ მასალის მხატვრულად შემუშავება, რომელიც სამეგრელოს მთავარ ლევან ს მეფობის შესახებ მოგვეპოვება, მაგრამ სიძნელე ამ რთულ საქმისა ვერ დაძლევია.

პიესაში ჩვენ ვერ ვხედავთ მთლიან, დამთავრებულს სურათს მაშინდელ ისტორიულ ცხოვრებისას და საზოგადოდ თვალსაჩინო ნაკლს პიესისას შეადგენს ის, რომ მასში სრულიად არ სჩანს, თუ მეფის სასახლის გარეშე სადმე ოდნავ მაინც სცემდა ძარღვი საზოგადოებრივ ცხოვრებისა.

თავსა და ბოლოს მთელის პიესისას შეადგენს ორი პირი—დარეჯანი და ლევანი, რომლებიც პიესაში ვერ ან ერან სავსებით დახასიათებულნი.

დარეჯანი ბულ-ქვა, დაუნდობელია. მას ამ ქვეყნად მხოლოდ ორი რამ სწყურია: მთავარის ლევანის გულის დაპატრონება და მისის მეფფრის დიდების გაზიარება. ის არ ერიდება არავითარ საშუალებას, არავითარ მსხვერპლს, ოღონდ კი თავისი პატივ-მოყვარე და ვერაგი ბუნება სავსებით დაკმაყოფილოს.

ლევანი არ არის ბოროტი. ბუნებით—კი იგი ბატონია, სრული მეფეა, განუსაზღვრელი მბრძანებელია, ხოლო სუსტია ნებითა და ხასიათით. წუთიერ გაელვნის ქვეშ მას, სრულს ყმას და მონას თავის გრძნობისას, შეუძლიან ჩაიდინოს უაღრესი ბოროტ-მოქმედება ისე, რომ წარბიც არ შეიხარის.

სამწუხაროდ, ეს უმთავრესი თვისებანი ამ პირებისა პიესაში არ არის სისტემატიურად განვითარებული და დაცული. უკანასკნელ მოქმედებაში საქციელი მათი პირდაპირ ეწინააღმდეგება მათს ხასიათს და აი როგორ:

დარეჯანი სასურველს მიზანს აღწევს. იგი პირისპირ უცქერის იმ ბედნიერებას, რომელიც მრავალი სისხლის დაღვრით მოიპოვა, შეძლება აქვს სრულის თავდავიწყებით დაეწაფოს მას და სვას ნაკადული უაღრეს ნეტარებისა იმ დრომდე, ვიდრე ის არ აიმღვრება, ადიდება და არ დაახრჩობს დარეჯანს მისივე გულისთქმითა და ანგარებითა. რას შვრება დარეჯანი? იგი უარყოფს კარებზე მომდგარ ბედნიერებას და მონასტერში ცოდვების მონანიებაზე ფიქრობს. განა ეს შეეფერება მისს ხასიათს? მისგან ჩადენილი მრავალი ბოროტმოქმედება ამ ბედნიერების მისაღწევად ბავშვური შეცდომა როდი იყო; ყოველი ნაბიჯი მას გამოწონილი ჰქონდა, ყოველთვის იცოდა, რას და რისთვის აკეთებდა... იგი მუდამ უდიდესი აკაზაკი და ბოროტმოქმედი იყო და ბოლომდე კიდეც უნდა დარჩენილიყო სრული ერთგული და მორჩილი თავისს ვერაგის ბუნებისა...

ლევანი თავმოყვარე და განუსაზღვრელი ბატონია, ხოლო, როგორც ზევითა ვსთქვით, ბოროტი არ არის. დარეჯანი დაეპატრონა მისს გულს და მანაც წუთიერ ვნებით აღძრულმა წარბ-შეუხრელად ჩაიდინა მრავალი ბოროტმოქმედება. სიყვარულით დაბრმავებულს ეგონა, რომ ყოველი მისი ნაბიჯი სწორი და სამართლიანი იყო. ბოლოს გაიგო დარეჯანის სიყალბე, თვალთმაქცობა, რასაც მსწრაფლ უნდა გამოეყიზიზღებინა იგი და დაეგმო მიზეხი მისგან ჩადენილ მრავალ ბოროტმოქმედებათა. ამის მაგიერ იგი მაინც ერთგული რჩება დარეჯანის სიყვარულისა და ეს გრძნობა თითქოს უფრო მეტადაც უღვივდება.

დანარჩენი მოქმედნი პირნი სრულიად შეუმუშავებელნი არიან და უფრო აჩრდილებს წაგვანან, ვიდრე ცოცხალს ადამიანებს.

სცენიური ტეხნიკა პიესისა თუმცა კოჭლობს, მაგრამ პიესა მაინც კარგი მოსასმენია, მით უფრო, რომ მშვენიერის ქართულის ენით არის დაწერილი.

შემსრულებელთაგან კარგი იყო მხოლოდ ელ. მესხიშვილი (ლევან). ნინო ჩხეიძემ ვერ დაგვიხატა ცბიერი და დაუნდობელი დარეჯანი. მისს გაპირიოვნებაში ბევრი სინაზე და კეთილშობილება შეიტანა.

სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ, რომ დრამატიულ საზოგადოების გამგეობას ტაფულად არ დაუხარჯავს დიდი ფული დეკორაციებსა და ტანისამოსზე, რადგან ყოველ მოქმედებაში, როგორც დეკორაცია, აგრეთვე ტანისამოსი სრული შესაფერისი იყო. ამას გარდა ახლად შეძენილი ნივთები დიდხანს დარჩება ქართულ თეატრის ძვირფას განძად.

Ro-Ben

სათეატრო ამბები

ე. კარ—მა სამხეარად გადათარგმნა ტრ. რამაშვილის პიესა „ექიმი აშირბაჯიანი“ და ანასიანის „ვაი კალმისაგან!“ ამავე მთარგმნელმა სამხეარიდან ქართულად სთარგმნა შარავანდედს „ნამუსისათვის“ და ფეფოხიანის „კლდე“.

◆ ს. გლახუშვილს დაუწერია ახალი პიესა „ცხოვრების დაღი“, რომელიც უკვე ნებადართულია და ქუთაისის სცენაზე წარმოადგენენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საზოგადო მოღვაწე და „ჯეჯილი“-ს რედაქტორი
ანასტასია მიხეილის ასული თუმანიშვილი-წერეთლისა

დედის ერთა

ვოდევ. 1 მოქ. ვ. გუნიასი (ახრი ადებულია)

(გაგრძელება, იხ. „თ. და ც“. № 6)

III

იგივე, **რიფსიმე**

რიფ. (დაინახავს შვილს) ვეი, დამიდგეს თვალები. ამას ვისა ვხედავ! აი, შე ფეხ-მოსატეხო! შენ აქა გდიხარ და მე-კი მთელი სოფელი შემოვირბინეი შენს ძებნაში! რას აკეთებ აქ, შე შავ დღეს დაბადებულო, ამდენი ხანი სად გდიხარ?!.

იოთ. (ანიშნებს) სუს, სუს, სუს, ნუ ყვირი, დედა-ჩემო!

რიფ. როგორ თუ ნუ ვყვირი, დავიყვირებ კიდეც და თვალსაც მოგთხრი! რას აკეთებ აქა, შე გასაწყეტო, ძაღლივით ყველგან დაეთრევი, დავწანწალებ, შე სასიკვდილე, შენა... ალარ იცი შე გამოტვინებულო, რომ სონას მამულის გარდა, ოთხასი თუმანი ქრთამი აქვს?..

იოთ. (მდერით)

„თუ ცოლს მოჰყვა ბევრი ფული,
გაიხარებს ჩემი გული“.

დედი, თუ ღმერთი გწამს, თავი დამანებე!

რიფ. აი, სიკვდილმა კი არ დაგანებოს შენ თავი!

იოთ. დედა-ჩემო, შენ არ აცი, საქმე როგორც არის!

რიფ. მაშ შენ იცი, შენმა თავის გახეთქამ! შე ურცხვო, საცაა საქმეი არ გვექნება... ჩასაცმელი ხომ, რა ხანია, არა გვაქვს! ეს წაღები ხომ ძლივს-ძლივობით გიყიდე... ის რაღაც ორ გროშიანი პენსია რომ გვეძლევა, შენ სახეთქელადაც არ გვყოფნის, ეს ჩოხა-ახალუხი რომ შემოგაცვდა, ტიტლიკანა ხომ არ ივლი, შე რეგვენო, შენა!?

ეროვნული ბიბლიოთეკა

იოთ. რა არის, დედაჩემო, მუდამ დღე სულ მლანძღამ და მლანძღამ! აგერ დავაყაკცდი და შენ სულ პაწია ბავშვი გგონივარ და ალარ მეშვები!.. არც აგრე იქნება.

რიფ. განა არა, ღირსიცა ვარ, რომ მომიბრუნდე და მცემო კიდეცა... სულ ჩემი ბრალია (იტრუმლუბა), დედის ერთა იყავი და მე გაგაფუჭე, — აი, გაგაფუჭოს ღმერთმა!...

იოთ. (უფრო ფართაფურაბს) რა დაგემართა, რომ მთელი კვირა ამ უცხვირო ჩექმებს მაყვედრი. განა ეს წაღებია! ახლა ჩექმები წვეტიანები უნდა იყოს, რომ წამოჰკრა ვისმეს, მუცელში ხანჯალივით შეეჭოს, შენ-კი დაგიჭინია — ჩექმები და ჩექმებიო!

რიფ. შე უღმერთო, რაც მქონდა, სულ გამომცინცლე. ვფიქრობდი, ჯვარს გადაიწერს და იქნება წელში გავიმართო მეთქი... ის-კი არა და შენ წვეტიან ჩექმებზე წაგსვლია ფიქრები! ოცდა-ორი წლისა ხარ — გაგიწყრეს ოცდა ორი სახარება... რო მოკვდე, დასამარხი არა მაბადია-რა!.. თუ ჩემს ჭკუაზედ არ ივლი, გამეცალე, თვალით არ დამენახვო!..

იოთ. გინდა, სულ ნუ შემომიშვებ სახლში... მე ახლა შენი არა მინდა-რა! მე, დედაჩემო, ჯერ თბილისში მივდივარ, მერე ბათუმში, იქიდან ოდესაში, მერე მოსკოვში, იქიდან პეტერბურგში, მერე პარიზში და ეიფელის კოშკიდან წერილს გამოგიგზავნი.

რიფ. (კოტეგბაი) შვილო, იოთამ, შენ ავად ხომ არა ხარ? (ადერსაი) შვილო, რაებს ამბობ, მე შენ ვერსად ვერ გაგიშვებ, გენაცვალოს დედა შენი!

იოთ. აგრე არა სჯობია, შე დალოცვილო, ჩხუბსა და ლანძღვას. იცი, დედაჩემო, ისეთი ახალი ამბავი გითხრა, რომ მგონი სიხარულით ამ სიბერის დროს სიცხე პაპანაქებაში ლეკურიც ჩამოუარო! აჰ?! მე ცოლს ვირთავ!

რიფ. (ნასიამოვნები) ცოლს ირთავ? ვისა, ვისა, შვილო?

იოთ. აი, ამას... (უჩვენებს ეზოსკენ) თაფლოს!..

რიფ. თაფლოს. ვუი, თქვენი ჭირიმეთ, რა გამახარე, შვილო, ღმერთმა გაგახაროს, შვილო! იცი, რომ თაფლოს ათასი თუმანი ქონია აქვს და მამულიც...

იოთ. (შედაურად) ფული რა არის, დედაჩემო, ფული ხელის ჭუჭყია! შენ სიყვარული სთქვი, სიყვარული! ახლა რას იტყვი, დედა ჩემო?

რიფ. შენს პირს შაქარი, შვილო! მაგრამ ფულზედ უარს ნუ ამბობ. ფულია, შვილო, პირველი საქმე. ცხონებულ მამაშენს გვაროშვილობის მაგიერ ფული რომ დაეტოვებინა — ემჯობინებოდა.

იოთ. არა, დედი, შენ ისა სთქვი, ჩემი არჩეული როგორია, ჰა?

რიფ. (გაბეჭნეგეგა) ღმერთმა გაგაბედნიეროს, შვილო! მერე თაფლო კი თანახმაა?

იოთ. მოდი და ნუ გახდება თანახმა, როცა ცეცხლი წავუკიდე, დავწვი და დავხრეკე. დღესვე უნდა ვითხოვო.

რიფ. რომ უარი ეთხრას? განა პირველი მაგალითია, შვილო! ბარემ ათჯერ მაინც გითხრეს უარი საცოლეებმა. მოგიკვდეს დედა!

იოთ. არა, დედიჯან, ახლა უარს ვერ მეტყვიან... ახლა საქმე მკვიდრად არის...

რიფ. მერე რითი მოაწონე თავი აგრე ძლიერ?

იოთ. რითა? ვაჰმე! რაები არ ვეცადე! ჯერ ოხვრას, მერე თვალების პრუწვას და მერე ლექსები რომ მივაყარე ჯორის ტლინკებისავით, აქ კი ველარ გასძლო და გაგიჟდა ნამდვილად!...

რიფ. უჰი, შენ-კი შემოგეევლოს ჩემი თავი... შვილო იოთამ, იცი რას გეტყვი: სიფრთხილეს თავი არა სტკივა... მოდი ნურც სონას დაანებებ თავსა.... თუ აქ არ გასჭრა, იქ მაინც არ დაკარგო... ის ქალიც კარგია, ჩუმი და კეთილი, ქრთამიც კარგი აქვს.

იოთ. მაშ რა გინდა, დედაჩემო. გინდა ორივე ვითხოვო! შენ გეუბნები, ფიქრი ნუ გაქვს... საქმე ისე მაქვს გაჩარხული, რომ ვერც ერთი და ვერც მეორე ხელიდან ვერ წამივა, განსაკუთრებით ათას თუმნიანი! თვითონვე მოვიდა, და ისე ჩამპაროშტა, აი, ამ ადგილას, რომ...

რიფ. არ მატყუილებ?

იოთ. მეც არ მოგიკვდე და შენც არ მოგიკვდე! დედა, თუ გიყვარდე, ცოტაოდენა ფული მომეცი!

რიფ. მერე ფული რაღად გინდა, შვილო?

ეოთ. კაცნი ვართ, იქნება როგორ არის

საქმე... შე დალოცვილო, სასიძო კაცი ხომ უგრეშოთ არ ვიქნები... პაპაროსები მინდა, სხვა მინდა.

რიფ. მერე საიდან მოგცე შვილო, სადა მაქვს?

ოოთ. გექნება დედი, შენ ჭკვიანი დედაკაცი ხარ! აი ჯიბეში გექნება, იცოდე თუმანზე ნაკლებ არ იქნება... მოსამსახურეა—გოგო—ბიჭები... ვინ იცის, რა დამჭირდება. ესეც არ იყოს, ფულს რო დაინახავენ ჩემს ქისაში, მაშინ სულ სხვა შახი მექნება, მაშ?!..

რიფ. არა, შვილო, თუმანს კი ვერ მოგცემ და ხუთ მანეთს-კი გიშოვნი!

ოოთ. ეჰე, დედა ჩემო, დედა ჩემო! გაიგე რომ საქმე მორჩომილია.

რიფ. იჰ, შვილო, როგორც ახლა, მაშინაც ამბობდი, საქმე მორჩომილიაო და მერე რამდენი თუმანი გამომცინცლე და ბოლოს ბარემ ათს ადგილას უარი გითხრეს. იცოდე, ოოთამ, ამის მეტი გახვრეტილი გროშიც არა მაქვს.

ოოთ. რაც იყო—იყო, დედაჩემო, ახლა სულ სხვა იქნება!

რიფ. აჰა, შვილო, ღმერთმა ბარაქა გაჩვენოს! (აძლევს ფულს)

ოოთ. მოიტა ის წვრილიც, მოიტა! ის წვრილები უფრო გამომადგება! (ართმევს თეთრს ფულს) დედიჯან, ახლა შენ სახლში აბრძანდი, შენი კარგი კაბა ჩაიცვი და აქეთკენ გამოსწი დაუყონებლივ!

რიფ. ვაი თუ, შვილო, საქმე საქმეზედ არ მოვიდეს, მეც არ დაუბატიჟნივარ და...

ოოთ. რა საჭიროა, დაპატიჟება! ჩემი დედა ხარ თუ არა? ვისაც მე ვუყვარვარ, შენც უნდა უყვარდე, მაშ!!.. ესეც არ იყოს, ისე შემოდი, თითქოს უკაბედად...

რიფ. უი, შენ-კი შემოგველოს დედაშენი, რო მაგეთი მოხერხებული მყევხარ, შვილო! მითომ ისე შემოხვევით გამოვიარე და მერე მოვიბოდიშებ...

ოოთ. აგრე, დედა ჩემო! აბა შენ იცი, რა ყოჩაღად მოიქცევი და მოირთვები. ენეინა ხარ, მაგათთანა ტყუილ-უბრალო აზნაურიშვილი ხომ არა ხარ... წადი, წადი, მოირთე, დედაჩემო!

რიფ. (ადგრსით) კარგი, მივდივარ! (ბარჯვარს გადასხამს) ღმერთმა გამარჯვებული გატაროს! (კადის სიჭარად)

ოოთ. (ფულების გადახედავს) ეჰე, ერთი მალე გათავდეს ეს ჩემი საქმე, ერთი ჩემი გვარი-შეილობის შესაფერი ქმარ-ხანჯალი, ხმალი და ლეკური შევუკვეთო, თორემ ასე რას ვგავარ? ათ-ათი ხელი ტანისამოსი უნდა შევაკერინო... კარგი შინელი — ერთი საზაფხულო, ერთი საზამთრო ბეწვებიანი! მართლა, ქულაჯაც კარგი იქნება! ვაჰ, წაღები?! პირველი საქმე წაღებია! ახლა რაღაც ვეებერთელა ქუდები შემოიღეს! ეჰ, რამდენი რამ არის საჭირო! მერე თბილისში ერთს ვიქეიფებ, ერთს ვიქეიფებ, რომ ყველა გავიფასო! უჰ, თქვენი ჭირიმეთ, ფულებო თქვენი?! (შორიდან მოისმის თაფლის სიმღერა. ოოთამ სიჩქარად ფულების ჯიბეში აწყობს წვრილი ფული ეჭნება. შემოდის თაფლო.)

IV

იგივე, **თაფლო**

თაფ. (სიცილით და სიმღერით შემოდის) გავიმარჯვე, გავიმარჯვე, — არც თანხმდება და არც უარს ამბობს: ჯერ ნუ აჩქარდები, ჩვენსა იარის და ენახოთო! კნიაზო ოოთამ, აბა ჩემს პირდაპირ დაჯექით! ახლა ნებას გაძლევთ, ხელი მთხოვოთ; რაღას გაჩუმდი, ყმაწვილო?!

ოოთ. (მაწყაზე დაქეიფს დაჭნეულ ფულს. თავისთვის) ორი აბაზი მაკლია!

თაფ. რას ბუტბუტებ?

ოოთ. მეე... მე არაფერს... ისე... (კიდეც დაქეიფს)

თაფ. რა დაგემართა, ყმაწყილო, დამუნჯდი, თუ რა არის?

ოოთ. უკაცრავად, ახლავე... მე არ შემიძლიან! (დაქეიფს ფულებს)

თაფ. ოჰო, შეგეშინდა!

ოოთ. (უცებ ფიფოვის, შეუმჩნევლად დაიხრება და აიღებს) კიდევ ერთი აბაზი მაკლია! (ჩაფიქრდება)

.თაფ. მაშ უარს მეუბნები! მაშ არ გინდა შემირთო?

ოოთ. (მხოლოდ ახლა მიხვდება) თაფლო, ჩემო ძვირფასო,—იმ ოხერმა აბაზიანმა დავთრები დამიფანტა.

თაფ. (არ ესმის) რის აბაზიანი? რას ამბობ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს სადილად ჩვენსა იქნები. როცა მამაჩემი გამხიარულდება, მაშინ შენ იცი... მაშ მე ახლა კნეინა გავხდები, კნიაზი ოთამის მეუღლე! უჰ რა უხერხული სიტყვაა იოთამი?

იოთ. (თავ მომწონედ) მაგას რათ ბრძანებთ! იოთამს მაგრე კი ნუ ეხუმრებით. ეს სახელი განთქმული სახელია. ერთხელ, ამ ორი წლის წინად, დედა-ჩემმა, რომ თბილისში ჩამიყვანა, სხვათა შორის, თავად-აზნაურების თეატრში წავედით. რუსული წარმოდგენა იყო სიმღერებით... დედა-ჩემი კინაღამ გაგიჟდა... სცენაზე სულ იოთამს გაიძახოდენ. შვილო, შენ ხომ არ გეძახიანო, მეკითხებოდა დედა! მაშ, დედა-ჩემო, ალბად მიცნეს მეთქი!

თაფ. იჰ, რას ლაპარაკობ, ეგ რა დასაჯერებელია!

იოთ. მამა არ წამიწყდება და დედა არ მომიკვდეს, მართალს გეუბნებით. აი, თუ გნებავთ ახლავე გიმღერთ: „Я бѣдній Іотамъ, Я бѣдній, бѣдній Іотамъ" მაშ!

თაფ. მართლა, ეგრე бѣдній-ცა სთქვეს?!...

იოთ. მაშ!

თაფ. საოცარია, როგორ უცვნიხართ?

იოთ. მეც ეგ არ მიკვირს!

თაფ. მაშ არ დაივიწყოთ, როცა მამა ჩემი გამხიარულდება, მაშინათვე მოელაპარაკეთ. აბა, წავიდეთ, სუფრა ორივემ გავშალოთ! (უცბად შეკრთება) იოთამ, ყველა ეს კარგი, მაგრამ მამა რომ არ დათანხმდეს და...

იოთ. შენ მე ღვინო გადამახუხე და, თუ კაცია, ნუ დათანხმდება! (ორივენი შედიან დერეფანში. ცოტა ხნის შემდეგ შემოდიან ზამბურაკი და სონა)

V

ზამბურაკი, სონა

ნოდ. (აღელვებულია. ქუდი ხელში უჭირავს და ცხვირ-სახოცით ოფლს იწმენდს) ვერ უყურებთ იმ ლაწირაკსა! თურმე გვაბრიყვებდა, აი თურმე რისთვის დაეთრეოდა ჩვენსა დღე და ღამ!

სონა. მამავ!

ნოდ. ჩუმად! მე მეგონა, როგორც კარგ ნაცნობს ვღებულობ მეთქი! ყოველ დღე სადილ-ვახშამი, პაპიროსები, ფულსაც კი ვაძლევდი იმ ურცხვს, იმასა! და ხედამ რა ჰქონია გულში?! მატყუებდა განა?

სონა. მამილო!

ნოდ. ჩუმად! ხმა, კრინტი მეთქი!

სონა. მამავ, იოთმმა შემომფიცა, ... სიტყვა მომცა...

ნოდ. რაო, როგორ თუ სიტყვა მოგცა! მერე რა უფლებით, რომელი კანონის ძალით გაბედა უჩემოთ შენთან საქმის დაჭერა და სიტყვის მოცემა?!...

სონა. მამილო, იოთამს მე ვუყვარვარ!..

ნოდ. ჩუმად! მერე რა უფლებით, რომელი მუხლის ძალით გაბედა და უჩემოდ შეგიყვარა?! ჯერ ჩემი თანხმობა უნდა ყოფილიყო...

სონა მამილო, შენ ხომ წინააღმდეგი არ იქმნები!

ნოდ. ჩუმად — მეთქი, ჯერ ჩემთვის უნდა ეკითხა! მე... მე უცხო ხომ არა ვარ! დამაცა, მე იმას ისეთ სიყვარულს გამოვუცხადებ, რომ თავის სიცოცხლეში არ დაავიწყდეს!... ბიჭოს! მე ასე კი ნუ მეხუმრება... მე ქიზიყელი ვარ, თუ ერთხელ ვსთქვი — მორჩა, გათავდა!

სონა. მამილო, აქ უცხო ეზოში რა გვინდა, იქნება არც-კი არის...

ნოდ. ჩუმად! ხმა-კრინტი მეთქი! მე ვერავინ გამაცურებს; არა, არა მე ასე ადვილად არ შევარჩენ. თუ შენი შერთვა უნდა, ბარემ ეთქვა ჩემთვის და შეგრთამდი, თორემ ის იქნება ახლა აქაც ისე იკატუნებს თავს, აქაც იქნება დავთრებს უბნევს საბრალო ქალს... აქაც რამეს დასტყუებს! არა, აქედან ფეხსაც არ მოვიცვლი, სანამ იმ საძაგელს არ შევხვდები! (იოთამის და თაფლოს ხმა მოისმის) აი, სწორედ ის არის, ისა! განა მე ვინმე გამაცურებს!...

სონა. მამილო...

ნოდ. ჩუმად! აქედ მოდექი! (ორივენი განზე გაიწევენ. შემოდის იოთამი. ისმის თაფლოს ხმა: „იოთამ, თქვენ კიტრები მოსწყვიტეთ და მე ღვინოს ამოვარბენინებ!")

VI

იგინივე, იოთამი

იოთ. (დერეფანში გამოჩნდება. თავ-მომწონედ ამბობს) აი, საქმეც ამას ქვიან! სადილზე თუ ორიოდე ხელადა გადავპრუწე, მერე ყველაფერი ფეხებზე მკიდია. წამოვდგები და თამამად ვეტყვი ჩემს სასიმამროს: ბატონო, სიმამრო, გთხოვთ, მომათხოვოთ თქვენი ქალი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნოდ. (გაბრაზებული) რაო, რაო?! აბა ხმა მაღლა სთქვი, რაც წეღან წამოაყრანტალე!

სონა. მამილო!

ნოდ. ჩუმად!.. აბა ბრძანეთ...

იოთ. (სრულებით გონება — დაბნეული) რა!..

ნოდ. ეს რა მიგიქარავს შენა! აქ რა გინდა, რისთვის მობძანებულხარ აქა?!

იოთ. მოგახსენებთ...

ნოდ. ჩუმად! რისთვის მობრძანებულხარ?!.. ვის უნდა სთხოვო ხელი?! ჰა?!

იოთ. (გაბედვით) რას ყვირით, ბატონო, ნოდარ!

ნოდ. ჩუმად, ხმა-კრინტი—მეთქი! ვიყვირებ კი არა, ნაღარას დავუკრავ, რომ მთელ ქვეყანას ვაუწყო, თუ რა წითელი კოჭი ბრძანდები და ვინა ხარ...

სონა მამილო!

ნოდ. ჩუმად! ხმა-კრინტი მეთქი!

იოთამ. (თავისთვის) ახ, ნეტავი ახლა მთვრალი ვიყო, მე შენ გაჩვენებდი სეირს! (მაღლა) რა გნებავთ, ბატონო...

ნოდ. როგორ თუ რა მნებავს? აქაო და თავადიშვილი ვარო, განა ყველაფერს მოგიტევებენ!

იოთ. (შეშინებული) რა იყო ისეთი!..

ნოდ. ნეტა როგორ გაბედე და წარმოიდგინე, რომ მე — ნოდარ ზამბურაკი — შენ, ლაწირაკსა ქალს მოგცემდი? რა ხარ შენ? რა კაცი ხარ? არა, რა უფლებით, რა კანონის ძალით გაბედე, რომ ჩემს ქალს ჩემ დაუკითხავად სიყვარული გამოუცხადე!.

იოთ. (ვედრებით ანიშნებს) ღვთის გულისთვის ნუ ყვირით! (თავისთვის) ახ, ნეტა მთვრალი ვიყო!... (ხელებით ანიშნებს ყელზე, ნუ ყვირითო)

სონა. მამილო!...

ნოდ. ჩუმად მეთქი! შე ლაწირაკო შენა! აქამდის ჩვენ გვატყუე, ახლა ესენი უნდა მოატყუო?

იოთ. ბატონო, თქვენი ქალისთვინ ხელი არ მიხლია! აი, თუნდა სონას ჰკითხეთ!

სონა. მამილო!

ნოდ. (ბრაზ-მორეული) ჩუმად თქვე არამზადებო! სიცოცხლეს-კი შეგარჩენდი, ხელი რომ გეხლო! შინ რომ გიშვებდი — იმიტომ-კი არა, რომ სიძედ მინდოდი... (ბრაზიანად) არა, როგორ გაბედა, რომ... რატომ ხმას არ იღებ! (დერეფანში გამოჩნდებიან **თაფლო და ქაიხოსრო**) მთელი დღე აქედ-იქით დაყიალებ და სულ ქალებს აბრიყვებ; ყველას სასიძოდ უჩნდები... არა, როგორ გაბედე-მეთქი, როგორ?!

იოთ. ღვთის გულისათვის! (თავისთვის) აჰ, ნეტა მთვრალი ვიყო!

ნოდ. ნეტა ვიცოდე, რა ნახეს შენში ამ სულელებმა!..

სონა მამილო!

ნოდ. ჩუმად! (იოთამს) სად არის ის ბეჭედი, რომელიც ჩემს ქალს დასტყუე?! ახლავე, ამ წუთაშივე დამიბრუნე უკანვე ბეჭედი!

იოთ. (სრულებით სასო-წარკვეთილი) ღმერთო, ეს რა დღე გამითენდა! სონა!... ბატონო ნოდარ!...

ნოდ. ჩუმად! ბეჭედი-მეთქი, ბეჭედი, მალე ბეჭედი!!.. (ამ დროს გამოვლენ სცენაზე თაფლო და ქაიხოსრო)

VII

იგინივე, **თაფლო ქაიხოსრო**

ნოდ. (თავს უკრავს შემოსულებს) უკაცრავად, მაპატიეთ, რომ თქვენს ეზოში ვყვირი, მაგრამ რა ვქნა (იოთამზედ აჩვენებს), რომ ამ ვაჟ-ბატონმა გამაბოროტა, ლამის კაცი შემომაკვდეს... ჰა, შე კუდ-ამოძუებულო, შენა! რა უყავი ბეჭედი! შენ გეგონა, აქაო და კნიაზი ვარო, ყველას დაიბრიყვებდი?!

თაფ. კნიაზო, იოთამ, რატომ ხმას არ იღებ?

იოთ. მე... მე... არ მესმის... პირველად მესმის...

თაფ. მაშ სხვის ბეჭედი იყო ისა?

იოთ. (გაბრუნჩული) მე... მე... არა... სხვისი კი არა, ჰო... დიახ... დიახ... სხვისი იყო!

ნოდ. აი, ის ბეჭედი (თაფლოს) აი, თქვენ ხელზეა. ჩემი სულელი ქალისათვის დაუტყუვნია, ვითომ რა არის, დანიშნულები ვართო... ჰმ, არამზადები.

სონა. მამილო!

ნოდ. ჩუმად!

ქაიხ. (გულ-ტკბილად) ეგ კი ვერაფერია... სხვისი ბეჭედი! თაფლო, მიეცი შვილო, ახლავე დაუბრუნე!

თაფ. უკაცრავად, მე არ ვიცოდი. იოთამმა მითხრა, რომ ეს ბეჭედი დიდედისაგან დამრჩაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნოდ. კარგი დიდედა ჰყოლია, თქვენმა მზემ!

თაფ. (იძრობს ბეწვს) მადლობას მოგახსენებთ, ენიაზო, ჩვენ ჩვეულებად არა გვაქვს სხვისი ბეწვები ვიტაროთ. (აძლევს აითოშს ბეწვს, რომელიც უნებურად ხელზე აეკეთებს)

ნოდ. (სწრაფად გაძოგვლეულს ბეწვს) ბიჭოს! ხელზედაც რომ აკეთებს! აი, შე სალახანა შენა! აი, ბატონო, როგორ გვიბრიყვებენ ამისთანა ლაწირაკები!.. დედის ერთი ვარო!.. ოლონდაც, რომ დედის ერთი ხარ და შენისთანა მეორე ძნელია... უკაცრავად ბატონო... წავიდეთ, შე სულელო!

სონა. მამილო!

ნოდ. ჩუმად! (გაღიან)

ქაიხ. (სიჩუმის შემდეგ) წავიდეთ, შვილო! პირველი შემთხვევისათვის გვეყოფა ეს გაკვეთილი, წავიდეთ! (აითოშს) თქვენ-კი, უკაცრავად არ გახლდეთ, დღეის შემდეგ ჩვენ საერთო არა გვაქს-რა. მშვიდობით! წავიდეთ, შვილო (გაღიან).

იოთ. (მარტო. სიჩუმეა მერე მოაგონდება სუფეველიერი და სრულიად მოაშლება) რა იყო ესა? სიზმარში ვარ, თუ რა ამბავია! (თავლაბ ზე ხელს მოისვამს) მგონი ცხადლივ იყო! საქმრო ვიყავი, ათი ათასი მანეთი ხელში მქონდა ახლა-კი ყველაფერი გაქრა... აი, შენი პარიჟიც! პარიჟი კი არა, გურჯაანშიაც აღარ დამედგომება. (შეშინებული) ღმერთო! დედა-ჩემს რა პასუხი გავცე?! ნეტა წყალი იყოს სადმე, რომ თავი დავიხრჩო! (შეშადის რიფსიმე კოხტად ჩაცმული, ახალი ბადდადით და ქოდგით)

VIII.

ოგივე, **რიფსიმე**

რიფ. უჰ! დავიღალე! ძლივს ამოველ ამ ალმართზე... აი, შვილო, ცხვირ-სახოცი წამოვიღე, თორემ ამ სიცხე-პაპანაქებაში შესწუხდებოდი. (აძლევს, აითოშს უნებურად ჩოშეკს) შვილო, ხომ კარგადა ვარ ჩაცმული, ხომ არ შეგარცხვენ შენ საცოლე სიმამრთან?! რას გაჩუმებულხარ?!

იოთ. (თითქოს სიზმარში) კარგადა ხარ, დედილო, კარგად!

რიფ. სიყვარული გამოუცხადე, შვილო!?

იოთ. როგორ არა, გამოვუცხადე სუყველაფერი!..

რიფ. მერე მიიღო, შვილო?

იოთ. მიიღო, დედილო, სიხარულით მიიღო! აი თაფლო აქ იყო და... მე აქედ ვიდექი. თვითონ მითხრა... უარს ხომ არ იტყვი ჩემზედაო! (იცრემლება)

რიფ. (ეხვევა და ჭკოცნის) ჩემო იმედო, ჩემო შვევარდენო! ქორწილი როდისღა დანიშნეთ?

იოთ. ქორწილი? (სიჩუმე) ქორწილი, დედავ, აღარ იქნება?

რიფ. რაო? როგორაო?

იოთ. დედი, მგონი, აქაც არა გამოდნებარა!...

რიფ. რას ამბობ, ხომ არ გადაირიე?!..

იოთ. ყველასფერი გაჩარხული იყო, დედი... სადილათაც დამპატიჟეს... მე და თაფლო ერთად სუფრასა ვშლიდით... ერთი სიტყვით, ორჯერაც ჩავბრაშტე. ამ დროს საიდღამაც გამოტყვრა ი კოჭლი ნოდარ ზამბურაკი და დაიწყო, მაგრამ რა დაიწყო, მომდგა, მაგრამ რა მომდგა! მლანძღა, მაგრამ რა მლანძღა! მთელი ალაზანი ვეღარ გამრეცხავს,.. ბეჭედი გამომართო და თავი კინალამ გამიჩეხა... მერე ქაიხოსრომაც ძლიერ ზრდილობიანად გზა დამილოცა!..

რიფ. (სკამზე ჯაეცემა შეწუხებული) ვუი, ვუი, ვუი, ეს რა მესმის!... რა მესმის!..

იოთ. (ენაზედ ლაშქადის და ჯოტის ლექსს) დედილოჯან, ჩემი ბრალი არ არის, შენს მზესა ვფიცავ!..

რიფ. (ერთბაშად წამოვარდება) როგორ გაბედე, შე იუდის კერძო შენა! როგორ მომატყუილე, შე ჯოჯოხეთის ნასხლეტო შენა!..

იოთ. დედილო...

რიფ. (გაცოფებული) არ მომეკარო, თორემ ამ ქოლგას თავზე გადაგამტვრევ?!

იოთ. დამკარ, დედიჯან! დამკარ!

რიფ. (ერთბაშად) ახლავე ჩექმები გაიხადე! ახლავე-მეთქი.

იოთ. დედიჯან, აბა რას ვეგვანები, უჩექმოთ... სადაური სასიძო ვიქნები ფეხ-შიშველა?

რიფ. ჰაჰ, შე დასამწებელო, შენა! შე ურცხვო, შე ყაჩაღო, შე ჩემო სულთა მხუთაო, შენ მამის საფლავის შემარცხვენელო!

იოთ. დედიჯან! განა დედის ერთას ასე მოექცევიან!

რიფ. ხმა, ხმა, ხმა ჩაიკმინდე! ახლა რა გიყო?! სად წაგიყვანო?! რომელ მხარეს გათ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიო?! რა გიყო, შე ყოვლად რეგვენო და ჩემო დამღუპველო! მეტი რაღა დამრჩა საქართველოში, რომ შემეძლოს კიდევ თვალის გახელა! ვუი, ჩემ შავ დღესა, ვუი ჩემს მოსწრებას!.. (ტირის) ვუი, ვუი...

იოთ. (ტირის) დედაჯან, დედა!

რიფ. (ერთბაშად) ჩექმები—მეთქი მაღლე, ახლავე გაიხადე ჩექმები, შე ავაზაკო! ახლავე, ახლავე.

იოთ. (უნებურად იხდის ჩექმებს)

რიფ (ტირალით) გადავაკვდი, გადავაკვდი, ვასწავლე—არ ისწავლა, გამოაგდეს, სამსახურში შევიყვანე—არ ისაქმა,—გამოაგდეს! ჯერ დანიშნე, იუულლუტა — გამოაგდეს! (წაგლეჯავს ჩექმებს) აქ მოიტა ჩექმები... ფული? ფულებიც მომე; ფულებიც შე...

იოთ. (უნებურად აძლევს) აჰა!

რიფ. არ გაბედო და თვალით არ დამენახო, სახლში არ შემოგიშვებ! შენ შვილი-კი არა მტერი ხარ მკვლელი ჩემი! დაე, მგლებმა შეგეჭამონ, შე ავაზაკო! (ტირის) ერთად-ერთი იმედი მქონდა და ისიც გამიცრუედა! ვუი, ვუი ჩემს თვალებს, ვუი ჩემს მოსწრებას! (გადის ტირალით)

იოთ. (თავს იდაყვებზე დაიშვებს, სრულებით განადგურებული და უსიზრდ შეჭეფერების ხალხს გაშტერებულ—გაწითლებული)

ვ. გუნია

ფარდა

რეკვიზიტი:

იოთამს—ბეჭდი და ფული. **თაფლოს**—პაპიროსები და სპიჩკა, **რიფსიმეს**—ქაღალდის და ვერცხლის ფული და ქოლგა, **ნოდარს**—ჯოხი.

შირვანზადე (ალექსანდრე მოვსესიანი)

ბიესა „ნამუსისათვის"-ის ავტორი

დაიბადა 1858 წ. შამახაში. პირველ დაწყებითი სწავლის მიღების შემდეგ სომეხთა სასწავლებელში და Уѣздное училище-ში, ბაქოს რეალურ სასწავლებელში მოინდომა შესვლა, მაგრამ მამის გაკოტრების გამო ვეღარ მოახერხა და ადგილობრივ საბოქაულოში შევიდა გადამწერლად. შეატყო პოლიციელად ვერ გამოდგებოდა, ამიტომ მალე თავი დაანება და 1875 წ. წავიდა ბაქოს, სადაც ერთ წელიწად-ნახევარი საგუბერნიო სამართველოში იმსახურა გადამწერლად. მალე ბუჰხალტერობა შეისწავლა და ნავთის ერთს ქარხანაში შევიდა ბუჰხალტერად. სწორედ ამ დროს გაიგო შ—მ რომ ქვეყანაზე მწიგნობრობა არსებობდა. პირველში რუსულად დაიწყო კორესპონდენციების წერა რუსულ გაზეთებში, შემდეგ თავი დაანება და სომხურად დაიწყო წერა „მშაკში" 1879 წ. 1883 წ. ამავე გაზეთში დაიბეჭდა მისი პირველი მოთხრობა „ცეცხლი ნავთის ქარხანაში", რომელმაც მაშინვე მიიპყრო საზოგადოების ყურადღება.

სომეხთა მხატვრულ ლიტერატურაში შ—მ პირველად დაიასურათა ცოცხლად—მდიდარ ფაბრიკანტებისათვის რამდენად უმნიშვნელოა მუშის სიცოცხლე. 1884 წ. თბილისში გადმოსახლდა და ხელი მიჰყო სამწერლო მუშაობას, თანამშრომლად ჟურ. „არძაგანქში".

მას შემდეგ შ—ამ გამოაქვეყნა ერთი-მეორეზე უკეთესი ნაწარმოებნი: „ნოქრის დღიურიდან", „ნამუსი", „არამბიანი", არსენ დალბაზიანი". მეტადრე „ქალი", რომელიც მის ნაწარმოებთა შორის უკეთესთაგანია.

შ—ე მიმდევარია ემილ ზოლასი და რეალურ მიმართულების საუკეთესო წარმომადგენელია სომხურ ლიტერატურაში. მის მოთხრობათა სიუჟეტი ქალაქის ცხოვრებიდანაა აღებული.

შ—ე სომეხთა შორის ცნობილია, როგორც საუკეთესო საყვარელი ბელეტრისტი და დრამატურგი; გ. სუნდუკიანცის შემდეგ პირველი ალაგი უჭირავს სომეხ დრამატურგთა შორის. მისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველი პიესა, თუ არა ვცდებით, წარმოდგენილი იქმნა 1893 წ. პიესა კრიტიკოსებმა ერთხმად დაიწუნეს, შემდეგ აღარც წარმოუდგენიათ. ხალხს ეგონა, შ—ე ხელს აიღებს პიესების წერაზეო, მაგრამ რვა წლის შემდეგ იგი ხელახლად გამოვიდა სათეატრო ასპარეზზე: 1901 წარმოადგინეს „ეგვანი“, 1902 წ. „უფლება ჭქონდა“?, 1904 წ. „ნამუსისათვის“, 1908 წ. „ნანგრევებზე“. ზემოხსენებულ პიესათაგან „ნამუსისათვის“ და „ეგვანი“-ს სომხურ რეპერტუარში საპატიო ალაგი უჭირავთ და არდგენენ ყველა ქალაქებსა და დაბა-სოფლებში, სადაც-კი სცენა არსებობს. 1909 წ. დასწერა ორი პიესა „ორმენუჭი“ და „დღლუპული“. ამ ჟამად შ—ე სახლობით პარიზში ცხოვრობს და განაგრძობს პიესების წერას: ახლა-ხან დაუმთავრებია პიესა „შარდალანი“, ხუმრობა სამ მოქ.

შ—ეს ნაწერთა უმთავრესი ღირსებაა: პსიხოლოგიური თანდათანობა, ყოფა-ცხოვრების, ზნე-ჩვეულების აღწერა და ტიპების კარგად დასურათხატება.

რუსულად გადათარგმნლია მისი ექვსი მოთხრობა და „ნამუსისათვის“. ფრანგულად გადათარგმნილია „ორტასტა“ მოთხრობა, და „ნამუსისათვის“.

ქართულად-კი, სამწუხაროდ, შ—ეს არც ერთი მოთხრობა არ არის ნათარგმნი, მხოლოდ ახლა-ხან გადათარგმნა მისი ორი საუკეთესო პიესა „ეგვანი“ და „ნამუსისათვის“. ამ უკანასკნელი პიესის წარმოდგენა დანიშნულია დღეს ქართულ თეატრში ტასო აბაშიძის საბენეფისოდ.

ე. კ—ნი

სომეხთა მსახიობნი

ბარბარე მელიქიანი. ხვალ, 15 თებ. არტისტ საზ. თეატრში სომეხთა დრამატიული საზოგადოება დღესასწაულობს მსახიობ ქალის ბ. მელიქიანის 25 წლ. სასცენო მოღვაწეობას.

ბ. მ. დაიბადა თბილისში 1868 წ. სწავლობდა გიანაქე სასწავლებელში, სცენის ტრფიალებით აღტაცებულმა მეოთხე კლასიდან მიანება თავი სასწავლებელს; ამის მიზეზი იყო, სხვათა შორის, მისი და, 80 წ. სომხურ სამუდამო დასის მსახიობი. ბ. მ. პირველად განსვენებულმა ასტროკამ (ნიჭიერი მსახიობი-ქალი სირანუშას და) მიიწვია თავის გამოსამშვიდებელ წარმოდგენაში და პატარა ქალის როლი ათამაშა.

მას შემდეგ ბ. მ. ხშირად მონაწილეობდა სცენის მოყვარეთა წარმოდგენებში, ჩაშკიანის და ტერ-გრიგორიანის შედგენილ დასში ჰრიფსიმეს ფსევდონიმით. მერე ვ. აბაშიძის თხოვნით შევიდა ქართულ დრამ. დასში, რის შემდეგაც მონაწილეობდა სომხურსა და ქართულ სცენებზე, როგორც გამჭრიახი მშრომელთაგანი.

დაე, კვლავ ხანგრძლივი იყოს მისი სიცოცხლე ხელოვნების წმინდა ტაძარში სასამსახუროდ, საზოგადოების სასარგებლოთ და თავისდა სასახელოდ.

ჩვენი მსახიობნი

ტასო აბაშიძე (ანასტასია ვასილის ასული აბაშიძე-ყარალაშვილისა). დედა ნახე, მამა ნახე, შვილი ისე გამონახეო, სწორედ ტასო აბაშიძეზე ითქმის. სრული ათი წელიწადია, ეს ნიჭიერი ქალი უნიჭიერესი დედამის შვილი ქართულ თეატრს შეეძინა და სახელოვანადაც ემსახურება სამშობლო სცენას, როგორც ზენაარ ნიჭით მომადლებული, შეგნებული და განვითარებული მსახიობი. მისი ამპლუაა ენგენი-კომიკ და ენგენი-დრამატიკ. ტ. ა. გარდა იმისა, რომ დრამატიულ დასში მსახურებს, ოპერასა და ოპერეტკებშიაც მღერის.

დღეს მისი ბენეფისია ქართულ თეატრში. საბენეფისოდ არჩეული აქვს ახალი პიესა შირვანზადესი „ნამუსისათვის“. რა თქმა უნდა, ქართველი საზოგადოება პატივსა სცემს საყვარელ მსახიობ ქალს და ღღეს ქართულ თეატრში დაესწრობა მის ბენეფისს.

ნემო (მ. ჯანოევი) ქუთაუური მსახიობი, რომლის ბენეფისიც 18 თებერვალსაა დანიშნული ქუთაისის თეატრში, 17 წ-დია სცენაზე მოღვაწეობს, როგორც მსახიობი და სათეატრო საქმის მომწყობი. სომამშობს სახასიეთო, განსაკუთრებით კომიკურ როლებს და იმერელ ებრაელთა ტიპების გაპიროვნებაში ნომ შეუდარებელია, როგორც ადამიანი, ნემო ამხნაგ-მეგობართა გულშემატკივარია. იმედია, ქუთაისის საზოგადოება ღირსეულად შეეგებება ამგვარი მსახიობის ბენეფისს.

ტაშკენტიდან დეკემბერ სამწუხარო ამბავი გვაუწყა: 12 თებერვალს, შუადღის ორ საათზე **გარდაიცვალა** რუსეთის დიდებული მსახიობი ქალი **ვერა თეოდ. ასული კომისარჟევსკაია.**

რედაქ.-გამომცემელი **იოსებ იმედაშვილი**

Отдѣленіе скоропечат. „Прогрессъ“ Дворцовая ул., домъ груз. Дворянства.